FairWild სტანდარტი

ვერსია 2.0

დამტკიცებულია 2010 წლის 26 აგვისტოს FairWild-ის კომიტეტის მიერ.

მოიცავს ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების მდგრადი შეგროვების (ISSC-MAP) ინტერნაციონალურ სტანდარტს, ვერსია 1.0, 2007 და FairWild-ის სტანდარტს, ვერსია
1, 2006

თავფურცელზე გამოსახული სურათების ავტორები: მიშლერი, პეტცოლდი, კუნინგჰამ, კუნინგჰამ (ზემოთ)
შტრობახი, შიპმანი, შიპმანი (ქვემოთ)

ამ დოკუმენტისა და სხვა ამ სტანდარტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია FairWild-ის ინტერნეტ-გვერდზე: www.FairWild.org.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:
FairWild-ის ფონდის სამდივნო
CH-8570 Weinfelden, Weststr.51
Switzerland
Tel.: +41-(0)71-626 0 626
Fax: +41-(0)71-626 0 623
ელ-ფოსტა: info@FairWild.org

კომენტარები FairWild-ის სტანდარტის ვერსია 2.0-თან დაკავშირებით ძალზედ სასურველია. პირდაპირი მოთხოვნები და კომენტარები გთხოვთ გააგზავნოთ შემდეგი ელ-ფოსტის მისამართზე: info@FairWild.org

ციტირება: FairWild-ის ფონდი. 2010. *FairWild-ის სტანდარტი: ვერსია 2.0.* FairWild-ის ფონდი, ვეინფელდენი, შვეიცარია.

©FairWild-ის ფონდი, შვეიცარია

ამ დოკუმენტის საგანმანათლებლო ან სხვა არაკომერციული მიზნით გავრცელება, ან FairWild-ის სტანდარტებით მოსარგებლე პირების მიერ მისი შიდა გამოყენებისათვის გამრავლება სრულიად ნებადართულია საავტორო უფლებების მფლობელის მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
ამ დოკუმენტის გაყიდვის ან სხვა კომერციული მიზნით გავრცელება საავტორო უფლებების მფლობელის მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია.

სამადლობელი სიტყვა

FairWild-ის სტანდარტის ვერსია 2.0-ის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა მრავალრიცხოვანი ორგანიზაციებისა და კერძო პირების გაერთიანებული ძალისხმევის შედეგად, რომლებმაც თავიანთი ცოდნის, დროისა და კომპეტენტურობის სახით დიდი წვლილი შეიტანეს ველური მცენარეების რესურსებით მდგრადი ვაჭრობის მისაღწევად საჭირო პირობების განხილვასა და ჩამოყალიბებაში.

აუდიტის პროცესის განხორციელება შესაძლებელი გახდა გერმანიის ბუნების დაცვის ფედერალური სააგენტოსა (Bundesamt f r Naturschutz, BfN) და გერმანიის ბუნების დაცვის მსოფლიოს ფონდის (WWF Germany) დიდსულოვანი ფინანსური დახმარების წყალობით.

დიდ მადლობას ვუცხადებთ ეკოლოგიური მარკეტინგის ინსტიტუტის (IMO) თანამშრომლებს FairWild-ის სტანდარტის: ვერსია 2.0-ისათვის ინდიკატორების ჩამოყალიბებასა და ტესტირებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის. ასევე დიდი მადლობა გერმანიის კუნძულ ვილმის ბუნების კონსერვაციის ინტერნაციონალურ აკადემიას ამ სტანდარტებთან დაკავშირებული სხვადასხვა სემინარების გაძღოლისათვის.

ამ სტანდარტის საველე გამოცდამ დიდად ისარგებლა იმ პროექტების გამოცდილებებით, რომლებიც გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (Bundesministerium f r Wirtschaftliche Zusammenarbeit, BMZ), ევროკავშირისა და ჩინეთის ბიომრავალფეროვნების პროექტის (ECBP), შვეიცარიის იმპორტის განვითარების პროგრამის (SIPPO), გერმანიის ბუნების დაცვის მსოფლიოს ფონდის (WWF), ტრადიციული მკურნალების, Martin Bauer GmbH & co., Forum Essenzia e.V., ProFound, Kuendig AG, კემპტენის სადგურის აფთიაქის, სამხრეთი ამერიკის ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN), სახეობათა დაცვის კომისიის სამკურნალო მცენარეების სპეციალურ ჯგუფის (IUCN/SSC), ინდოეთის ადგილობრივი სამკურნალო ტრადიციების განახლების ფონდს, ნეპალის მთიანი რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ინტერნაციონალური ცენტრისა (ICIMOD) და ველური ბუნების სავაჭრო მონიტორინგის სისტემის (TRAFFIC) ხელის შეწყობით განხორციელდნენ. FairWild-ის ფონდი თანამშრომლობდა ადგილობრივ საზოგადოებებთან, შემგროვებელთა გაერთიანებებთან, კვლევით ინსტიტუციებთან, სამთავრობო სააგენტოებთან, და ასევე იმ კომპანიებთან ერთად,

რომლებიც ველური მცენარეების პროდუქტების შეგროვებაში, დამუშავებასა და ვაჭრობაში უშუალოდ არიან ჩართულნი. აუდიტის პროცესში მათ მიერ შეტანილი არსებითი წვლილი დიდად დასაფასებელია.

აუდიტი განხორციელდა FairWild-ის ფონდის ტექნიკური კომიტეტის წევრების მიერ FairWild-ის ფონდის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელობით.

შნაარსი

სამადლობელი სიტყვა 1

1 შესავალი 4

1.1 გამოყენებადობა და მიზანი 4

1.2 FairWild-ის სტანდარტის: ვერსია 2.0-ის სტრუქტურა 8

2 FAIRWILD-ის სტანდარტი ვერსია 2.0 9

2.1 FairWild-ის პრინციპები და კრიტერიუმები შეგროვების ოპერაციებისათვის 9

ნაწილი I: ველური მცენარეების შეგროვებისა და კონსერვაციისათვის საჭირო მოთხოვნები 9

ნაწილი II: სამართლებრივი და ეთიკური მოთხოვნები 10

ნაწილი III: სოციალური და სამართლიანი მოთხოვნილებები 11

ნაწილი IV: სამენეჯმენტო და კომერციული საქმიანობის მოთხოვნილებები 13

2.2 ბუნებაში შეგროვებული პროდუქტის მყიდველთათვის FairWild-ის პრინციპები და კრიტერიუმები 14

ლიტერატურა 15

დანართი 1: აკრონიმები და შემოკლებები 16

1 შესავალი

1.1 გამოყენებადობა და მიზანი

FairWild-ის სტანდარტი: ვერსია 2.0 გამოიყენება ველური მცენარეების შეგროვების ოპერაციების ფარგლებში და ესწრაფვის მდგრადი შეგროვების, სოციალური პასუხისმგებლობისა და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების მიმართ მისი ვალდებულებების დემონსტრირებას. ეს სტანდარტი მოიცავს ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების მდგრადი შეგროვების (ISSC-MAP) ინტერნაციონალური სტანდარტის ვერსია 1.0-სა (MPSG 2007) და FairWild-ის სტანდარტის ვერსია 1-ს (meinshauzeni da sxwebi, 2006) და ითვლება ველური მცენარეების მდგრადი შეგროვების FairWild-ის ფართომასშტაბიან სტანდარტად.

FairWild-ის სტანდარტების **მიზანს** წარმოადგენს ველური სახეობებისა და პოპულაციების თანაბარზომიერი გამოყენებისა და მათი გავრცელების ადგილებში გრძელვადიანი შენარჩუნების უზრუნველყოფა. ამასთან ერთად იგი პატივს სცემს ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს და ხელს უწყობს მონაწილე მხარეებს, განსაკუთრებით კი შემგროვებლებსა და მუშებს, საარსებო წყაროს შენარჩუნებაში.

კვების მრეწველობაში, კოსმეტოლოგიაში, ჯანმრთელობისა და სამკურნალო საშუალებების კომპონენტთა წარმოების სექტორში ნატურალურ პროდუქტებზე სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება წარმოადგენს არსებით ეკოლოგიურ და სოციალურ საფრთხეს. ველური რესურსების მიმდინარე და მზარდი კომერციული მოპოვებიდან გამომდინარე მაღალი ზეწოლა საფრთხეს უქმნის პოპულაციებისა და სახეობების შენარჩუნებას და აზიანებს ადგილობრივ ეკოსისტემას. ხელისუფლებამ, მეწარმეებმა და მომხმარებელმა უნდა გაიცნობიერონ, რომ არსებული ველური რესურსების შემცირება და სახეობათა დაკარგვა ფართო მასშტაბით უქმნის საფრთხეს ჯანმრთელობასა და ეკონომიკას და საფუძველს აცლის შემგროვებელთა საარსებო წყაროს, რომელნიც ძირითადად ქვეყნის ადგილობრივ მცხოვრებთა უღარიბეს სოციალურ წრეს მიეკუთვნებიან. ველური მცენარეების შეგროვების მდგრადობის მისაღწევად საჭიროა ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიური მიზნების დასახვა და საუკეთესო პრაქტიკული ღონისძიებების განსაზღვრა. FairWild-ის სტანდარტი სწორედ ამ საპასუხისმგებლო დავალების განხორციელების მიზნით იქნა შექმნილი.

FairWild-ის სტანდარტი წარმოადგენს დამაკავშირებელ ხიდს ერთის მხრივ არსებული კონსერვაციის ფართომასშტაბიან დირექტივებსა და ეთიკის კოდექსს შორის, და მეორეს მხრივ, განსაკუთრებული სახეობებისა და ადგილობრივი პირობებისათვის სპეციალურად შემუშავებული შეგროვების სამენეჯმენტო გეგმებს შორის.

პრინციპების ჩამოყალიბება და FairWild-ის სტანდარტის კრიტერიუმების გამოყენება ხელს შეუწყობს კერძო კომპანიებს, სამთავრობო სააგენტოებს, კვლევით ცენტრებსა და საზოგადოებას ველური მცენარეების მდგრადი შეგროვების შემდეგი თერთმეტი ძირითადი ელემენტისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებების იდენტიფიცირებასა და მათი ხელმძღვანელობით მოქმედებაში.

1. ველური მცენარეების რესურსების შენარჩუნება
2. გარესამყაროზე უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილება
3. კანონების, დირექტივებისა და შეთანხმებების შესრულება
4. მომხმარებელთა უფლებების პატივისცემა და სარგებელის განაწილება
5. ოპერატორებსა და შემგროვებლებს შორის სამართლიანი და ხელშეკრულებაზე დამყარებული ურთიერთკავშირი
6. ბუნებაში შეგროვების პრაქტიკაში ბავშვების მონაწილეობის შეზღუდვა
7. შემგროვებლებისა და მათი გაერთიანებებისათვის სარგებელის გარანტირება
8. ველური მცენარეების შეგროვების პროცესში მონაწილე ყოველი მშრომელისათვის სამართლიანი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.
9. საპასუხისმგებლო სამენეჯმენტო ღონისძიებების გატარება
10. საპასუხისმგებლო კომერციული ღონისძიებების გატარება
11. მყიდველთა გაერთიანებებისათვის ხელის შეწყობა

FireWild-ის სტანდარტის ვერსია 2.0-ის ფარგლებში შედიან სამკურნალო მცენარეების საფუძველზე დამზადებული მედიკამენტების შემადგენელი კომპონენტები და ველური მცენარეებისაგან წარმოებული სხვა ბოტანიკური პროდუქტები:

- ✓ ბუნებრივ ჰაბიტატებში შეგროვებული მცენარეები, მცენარეთა ცალკეული ნაწილები და მცენარეული პროდუქტები
- ✓ ბუნებრივ ჰაბიტატებში მოპოვებული ფუნგიციდები და ლიქენი

FairWild-ის სტანდარტის გამოყენებადობა იმ სახეობებისათვის, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ფარგლებს არ მიეკუთვნებიან (როგორიცაა, მაგალითად ადგილობრივი კულტივირებული, მოშინაურებული, ინვაზიური ან რეინტროდუქცირებული სახეობები) უნდა

განიხილოს და გადაწყდეს ყოველი თითოეული შემთხვევისათვის ცალკე.[1] ეს არ მოიცავს ცხოველებსა და ცხოველურ პროდუქტებს, როგორიცაა მაგალითად, ცვილი და თაფლი.

FairWild-ის სტანდარტი შემუშავდა იმ მიზნით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს გეოგრაფიული, ეკოლოგიური, კულტურული, ეკონომიური და სავაჭრო პირობების ფართო მასშტაბით, რასაც ველური მცენარეების რესურსების შეგროვებასთან აქვს შეხება. პირველ რიგში, ის არსებითად მიმართულია ველური მცენარეული რესურსების კომერციული მიზნით შეგროვებისადმი, ვიდრე საარსებოდ ან ადგილობრივი მცირე მასშტაბიანი გამოყენებისადმი.

FairWild-ის სტანდარტი განსაზღვრავს პრინციპებისა და კრიტერიუმების ძირითად სტრუქტურას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ველური მცენარეების სახეობებისა და მათი ჰაბიტატების მართვისათვის, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომერციული ღონისძიებების პრაქტიკაში გატარებას. FairWild-ის ფონდი მიუთითებს, რომ საჭიროა პრაქტიკული რეალიზაციის სხვადასხვა მიახლოებანი, რათა მიღწეულ იქნას ველური მცენარეების რესურსების მდგრადობაზე არსებითი პოზიტიური ზემოქმედების მოხდენა და შესაძლებელი შეიქმნას ჯანმრთელობისა და საარსებო საშუალებების სარგებელის ფართო მასშტაბით ხელის შეწყობა, რაც დამოკიდებულია ველურ სახეობათა მდგრად გამოყენებაზე (გამოსახულება 1). აღნიშნული FairWild-ის პრინციპებისა და კრიტერიუმების გამოყენების მიზანია:

- რესურსების მართვის ინსტრუქციებით უზრუნველყოფა
- არსებული მარეგულირებელი და პოლიტიკური სტრუქტურების (როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის თვალსაზრისით საჭირო მოთხოვნილებები და ინტერნაციონალური კონვენციებიდან გამომდინარე ნაკისრი ნაციონალური ვალდებულებები) პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფა
- FairWild-ის სერთიფიცირების სისტემის დანერგვა.

FairWild-ის სტანდარტი წარმოადგენს განვითარების პროცესში მყოფ ცვალებად დოკუმენტს. პერიოდულ გადამოწმებას საფუძვლად დაედება პრაქტიკული განხორციელების გზით მიღებული გამოცდილებანი და საზოგადოებრივი მხარის უშუალო კონსულტაციები.

[1] დამატებითი სახელმძღვანელო ინფორმაციას იხილავთ FairWild-ის ფონდის ინტერნეტ გვერდზე (www.FairWild.org) ან შეგიძლიათ ინფორმაცია მოითხოვოთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე (info@FairWild.org).



გამოსახულება 1. FairWild-ის სტანდარტის: ვერსია 2.0-ის დანერგვის გზები

1.2 FairWild-ის სტანდარტის: ვერსია 2.0-ის სტრუქტურა

FairWild-ის სტანდარტის ვერსია 2.0 იყენებს კომპონენტების ფუნქციონალურ იერარქიას ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებ დაჯგუფებაზე დაყრდნობით:

ცხრილი1. სასტანდარტო კომპონენტების ფუნქციონალური დიფერენცირება

ელემენტი	*აღწერილობა*
სტანდარტი	მართვის კარგი მეთოდების კონცეპტუალიზმის, განხორციელებისა და/ ანუ შესაფასებლად შემუშავებული წესების ნაკრები.
პრინციპები	ძირითადი კანონები ან წესები, რომელნიც არგუმენტაციისა და ქმედებათა საფუძველს წარმოადგენენ. პრინციპები მიზნის გამოკვეთილი ელემენტებია
კრიტერიუმი	პროცესის ან სისტემის მდგომარეობა ან ასპექტი, რომელიც პრინციპების დაცვის შედეგად იქნება მიღწეული. კრიტერიუმების ჩამოყალიბებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს გადაწყვეტილებათა რეალურ ვითარებაში შესრულების ხარისხის შესახებ აზრს.
ინდიკატორი	რაოდენობრივი ან ხარისხობრივი პარამეტრი, რომელიც გამოიყენება ოპერაციისა და კრიტერიუმის ურთიერთშეთანხმების შესაფასებლად. FairWild-ის სისტემაში თითოეული ეს მაჩვენებელი (საკონტროლო პუნქტი) აღწერს შესაბამისობის სხვადასხვა დონეს, რათა ხელი შეუწყოს საკონტროლო პროცესს და საშუალება მისცეს ეტაპობრივი პროგრესის დემონსტრირებას.

ადაპტირებულია ლამერტს ვან ბუერენისა და ბლომის მიერ (1997)

FairWild სტანდარტი: ვერსია 2.0 შეიცავს 11 პრინციპსა და 29 კრიტერიუმს, რომელნიც ბუნებაში მდგრადი შეგროვების ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიურ მოთხოვნებს ითვალისწინებენ. ეს ჩამოთვლილია ამ დოკუმენტის მეორე თავში. ინდიკატორები აღწერილია თანმდევ დოკუმენტში (FWF 2010b), რომელიც როგორც გადამოწმებისა და შიდა აუდიტის, ასევე FairWild-ის ფონდის მიერ აკრედიტებული დამოუკიდებელი ორგანოების მიერ FairWild-ის სერტიფიცირების საფუძველს წარმოადგენს და როგორც საკონტროლო პუნქტი, FairWild-ის სტანდარტის კრიტერიუმებისა და პრინციპების რეალური დანერგვის პროგრესის შეფასებას ემსახურება.

ინფორმაციები დაწვრილებითი გარე საკონტროლო პროცედურების, სერთიფიცირებისათვის საჭირო მინიმალური მოთხოვნების, პროდუქტის მარკირებისა და FairWild-ის ლოგოს გამოყენებისათვის შეგიძლიათ მიიღოთ FairWild-ის ფონდისაგან.

2 FAIRWILD-ის სტანდარტი ვერსია 2.02

2.1 FairWild-ის პრინციპები და კრიტერიუმები შეგროვების ოპერაციებისათვის

ნაწილი I: ველური მცენარეების შეგროვებისა და კონსერვაციისათვის საჭირო მოთხოვნები	
პრინციპი 1. ველური მცენარეების რესურსების შენარჩუნება *ველური მცენარეების რესურსების შეგროვება იმ მასშტაბებითა და ნორმებით და იმ ფორმით უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველყოფილი იყოს პოპულაციებისა და სახეობების გრძელვადიანი შენარჩუნება.*	
1.1	**სამიზნე სახეობათა კონსერვაციის სტატუსი** რეგულარულად უნდა მოხდეს სამიზნე სახეობებისა და პოპულაციების საკონსერვაციო სტატუსის განხილვა და შეფასება.
1.2	**ცოდნაზე დაფუძნებული შეგროვების პრაქტიკირება** შეგროვებისა და მართთვის პრაქტიკა ეფუძნება სამიზნე სახეობებისა და მათი შეგროვებიდან გამომდინარე ზეგავლენის ადეკვატურ იდენტიფიცირებას, ტოპოგრაფიას, ინვენტარს, შეფასებასა და მონიტორინგს.
1.3	**შეგროვების ნორმების მდგრადობა** სამიზნე რესურსების შეგროვების ნორმები (ინტენსივობა და სიხშირე) არ უნდა აღემატებოდეს მათი ხელახალი გრძელვადიანი აღდგენის უნარს.

[2]FairWild-ის სტანდარტის: ვერსია 2.0-ის ტერმინოლოგიის ჩამონათვალი ინდიკატორებთან ერთად თანდართულია თანმდევ დოკუმენტში (FWF 2010b)

პრინციპი 2. გარესამყაროზე უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილება საშემგროვებლო საქმიანობისაგან სხვა ველურ სახეობებზე, შეგროვების ფართობსა და მეზობელ ტერიტორიებზე გამოწვეული უარყოფით ზემოქმედებები თავიდან უნდა იქნას აცილებული.	
2.1	**მგრძნობიარე დაჯგუფებები და ჰაბიტატები** სავარაუდოა, რომ იშვიათი, საფრთხისა და გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და ჰაბიტატების შეგროვებამ მათ სერიოზული ზიანი მიაყენოს. უნდა მოხდეს ამ სამიზნე სახეობების მართვის იდენტიფიცირება და მათი დაცვა.
2.2	**ჰაბიტატის (ლანდშაფტის დონის) მართვა** სამიზნე სახეობების ბუნებაში შეგროვების ხელის შესაწყობად გატარებულმა სამმართველო ღონისძიებებმა არ უნდა იქონიონ უარყოფითი ზეგავლენა ეკოსისტემის მრავალფეროვნებაზე, პროცესებსა და ფუნქციებზე.

ნაწილი II: სამართლებრივი და ეთიკური მოთხოვნები	
პრინციპი 3. კანონების, დირექტივებისა და შეთანხმებების შესრულება *საშემგროვებლო და სამმართავი საქმიანობების გატარება უნდა მოხდეს კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებში და უნდა დაიცვას შესაბამისი კანონები, რეგლამენტები და შეთანხმებები.*	
3.1	**მართვის უფლებამოსილება და უფლებებით სარგებლობა** შემგროვებლები და მენეჯერები ფლობენ სამიზნე რესურსების გამოყენებისა და მართვისათვის მკაფიო და აღიარებულ უფლებებსა და ძალაუფლებას.
3.2	**კანონები, რეგულირებანი და ადმინისტრაციული მოთხოვნილებები** სამიზნე რესურსების შეგროვება და მართვა უნდა ასრულებდეს ყოველ ინტერნაციონალურ შეთანხმებას და ნაციონალურსა და ადგილობრივ კანონმდებლობას, რეგლამენტებსა და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, დასაცავი სახეობებისა და ტერიტორიების ჩათვლით.

პრინციპი 4. მომხმარებელთა უფლებების პატივისცემა და მოგების გადანაწილება *ადგილობრივი საზოგადოებისა და მკვიდრი მოსახლეობის ჩვეული უფლებები შესაგროვებელი ტერიტორიებისა და ბუნებაში შეგროვების სამიზნე რესურსების სარგებლობისა და მართვის საკითხებში უნდა იქნას აღიარებული, რესპექტირებული და დაცული.*	
4.1	**ტრადიციული გამოყენება და პრაქტიკირება, ხელმისაწვდომობის უფლება და კულტურული მემკვიდრეობა** კანონიერი ან ჩვეული უფლებამოსილებისა და სარგებლობის უფლებების მქონე ადგილობრივმა საზოგადოებამ და მკვიდრმა მოსახლეობამ უნდა შეინარჩუნოს კონტროლი შესაგროვებელი საქმიანობების მიღმაც, რამდენადაც ამას საკუთარი უფლებების, ტრადიციული ცოდნისა ან რესურსების დაცვის საჭიროება მოითხოვს.
4.2	**მოგების გადანაწილება** შეთანხმებები ადგილობრივ მოსახლეობასა და მკვიდრ ხალხებთან დაფუძნებულია სამიზნე რესურსების ფლობის, ხელმისაწვდომობის უფლების, მმართველობის მოთხოვნილებებისა და რესურსების ღირებულების სათანადო და ადეკვატურ ცოდნაზე. შეთანხმებები უზრუნველყოფენ ყველა მონაწილე მხარისათვის მოგების სამართლიან და თანაბარ გადანაწილებას.

ნაწილი III: სოციალური და სამართლიანი მოთხოვნილებები	
პრინციპი 5. ოპერატორებსა და შემგროვებლებს შორის სამართლიანი და ხელშეკრულებაზე დამყარებული ურთიერთკავშირი *შემგროვებლებს გააჩნიათ სტრუქტურები და ხელი მიუწვდებათ ინფორმაციისადმი, რომელიც ესაჭიროებათ საკუთარი ინტერესების გამოსახატავად და FairWild-ის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მისაღებად.*	
5.1	**ხელშეკრულებაზე დაფუძნებული სამართლიანი ურთიერთობა** კომპანიებსა და შემგროვებლებს შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობა უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე. შემგროვებლებს უნდა მიეცეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, როგორიცაა მაგალოთად, პრემიების გამოყენება და ფასებზე შეთანხმებები.
5.2	**შემგროვებელთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა** დაუშვებელია შემგროვებელთა დისკრიმინაცია მათი რასობრივი, კანის ფერის, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი ან პოლიტიკური მიმდევრობის საფუძველზე და ქალების წახალისება, როგორც რეგისტრირებული შემგროვებლებისა.

პრინციპი 6. ბუნებაში შეგროვების **პრაქტიკაში ბავშვების მონაწილეობის შეზღუდვა** *შემგროვებელთა მიერ შეგროვება და დამუშავება უნდა განხორციელდეს სამუშაო პროცესებში ბავშვების ჩართვის გარეშე.*	
6.1	**ბავშვები და მოზარდი შემგროვებლები** ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ბავშვებს როგორც შემგროვებლებს. მოზარდი შემგროვებლებისთვის დაუშვებელია ნებისმიერი სახიფათო სამუშაოების შესრულება.
6.2	**შემგროვებლები, რომლებიც ხელშეკრულებას დებენ ბავშვებთან საშემგროვებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე** შემგროვებლებს ეკრძალებათ ბავშვებთან ხელშეკრულების გაფორმება საშემგროვებლო პროცესებში დახმარებასთან დაკავშირებით.
6.3	**ბავშვები ეხმარებიან მშობლებს შეგროვებაში** ბავშვებს შეუძლიათ შეასრულონ შეზღუდული სამუშაოები მხოლოდ ზედამხედველობის ქვეშ.

პრინციპი 7. შემგროვებლებისა და მათი გაერთიანებებისათვის სარგებლის გარანტირება *უნდა მოხდეს სავაჭრო შუამავლების მინიმუმამდე შემცირება, შემგროვებლები დაზღვეულნი უნდა იყვნენ, რომ შეგროვებული პროდუქტებისათვის სამართლიან ფასს მიიღებენ. კომუნების სოციალურ განვითარებას ხელი უნდა შეეწყოს FairWild-ის საპრემიერო ფონდის საშუალებებით.*	
7.1	**სამართლიანი ფასები და გადახდის პირობები შემგროვებლებისათვის** საშემგროვებლო პროცესების გარანტირება შესაძლებელია შემგროვებლებისადმი გადახდილი გრძელვადიანი სამართლიანი ფასების საშუალებით, რომელთა დადგენაც ხდება ხარჯების გამჭვირვალე კალკულაციის, ფასების დადგენის პროცესში შემგროვებელთა მონაწილეობის, მოკლე სავაჭრო ქსელისა და შემგროვებლებისადმი დროული გადახდის საფუძველზე.
7.2	**FairWild-ის პრემიების გამოყენება და ადმინისტრაცია** მოხდება თუ არა FairWild-ის პრემიის მიღება, ხდება მისი გამჭვირვალე ადმინისტრირება საპრემიერო ფონდში. ფონდის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება შემგროვებელი ორგანიზაციების, შემგროვებელთა რეპრეზენტატული კომიტეტის ან FairWild-ის საპრემიერო ფონდში მონაწილე მხარეების უფლებამოსილი შემადგენლობის მიერ ანგარიშვალდებული გზით.

პრინციპი 8. ველური მცენარეების შეგროვების პროცესში მონაწილე ყოველი მშრომელისათვის სამართლიანი სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. კარგი სამუშაო პირობები პროცესში მონაწილე ყოველი მშრომელისათვის უზრუნველყოფს საშემგროვებლო პროცესების განხორციელებას.	
8.1	**ძირითადი სამუშაო უფლებები ველური მცენარეების შეგროვების ოპერაციის თანამშრომლებისათვის** ველური მცენარეების შეგროვების ოპერაცია პატივს სცემს ადამიანური რესურსების ძირითად ღირებულებებსა და ყოველი თანამშრომელის შრომის ფუნდამენტალურ უფლებებს.
8.2	**უსაფრთხო სამუშაო გარემო ველური მცენარეების შეგროვების ოპერაციის თანამშრომლებისათვის** უნდა შეიქმნას უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო გარემო, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მოსალოდნელი ინდუსტრიული და სხვა სპეციფიკური საშიშროებების ცოდნას.
8.3	**დასქმების სამართლიანი პირობები ველური მცენარეების შეგროვების ოპერაციის თანამშრომლებისათვის** ველური მცენარეების შეგროვების ოპერაცია აგირებს როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე დამსაქმებელი და სთავაზობს თავის თანამშრომლებს დასაქმების კარგ პირობებს.

ნაწილი IV: სამენეჯმენტო და კომერციული საქმიანობის მოთხოვნილებები

პრინციპი 9. საპასუხისმგებლო სამენეჯმენტო ღონისძიებების გატარება *სავაჭრო ველური სახეობების შეგროვება დაფუძნებული უნდა იყოს ადაპტიურ, პრაქტიკულ, მხარეების მონაწილეობით ჩამოყალიბებულ და გამჭვირვალე სამენეჯმენტო პრაქტიკაზე.*	
9.1	**სახეობების/ გავრცელების არეალის მენეჯმენტის გეგმა** სახეობების/ გავრცელების არეალის მენეჯმენტის გეგმა განსაზღვრავს ადაპტიურ, პრაქტიკულ სამენეჯმენტო პროცესებს და კარგ საშემგროვებლო პრაქტიკებს.
9.2	**ინვენტარიზაცია, შეფასება და მონიტორინგი** ბუნებაში შეგროვების მართვას ხელს უწყობს რესურსების ადეკვატური და პრაქტიკული აღწერა, შეფასება და შეგროვების მიერ გამოწვეული ზემოქმედებების მონიტორინგი.
9.3	**შემგროვებლების მიერ მდგრადი შეგროვების სათანადო ზომების გატარება** ველური მცენარეების შეგროვების ოპერაცია უზრუნველყოფს, რომ მხოლოდ ტრენირებული და კომპეტენტური შემგროვებლების მიერ მოხდეს სავაჭრო რესურსების შეგროვება და აკვირდება მათ მიერ შეგროვებისათვის გამოსაყენებლი ინსტრუქციების ეფექტურ განხორციელებას.
9.4	**ტრენინგი და კადრების მომზადება** რესურსების მმართველებსა და შემგროვებლებს უნდა გააჩნდეთ ადეკვატური უნარები (ტრენინგი, ზედამხედველობა, გამოცდილებანი), რათა განახორციელონ სამენეჯმენტო გეგმის დებულებები და შეასრულონ ამ სტანდარტის მოთხოვნილებები.
9.5	**გამჭვირვალება და თანამონაწილეობა** ველური მცენარეების შეგროვების საქმიანობანი უნდა გატარდეს გამჭვირვალე მეთოდით და პატივი სცეს მენეჯმენტის გეგმებსა და მათ განხორციელებას, ინფორმაციების მოგროვებასა და გაცვლას და პროცესებში მონაწილე მხარეების ჩაბმას.

პრინციპი 10. საპასუხისმგებლო კომერციული ღონისძიებების გატარება *ველური რესურსების შეგროვებისას უნდა მოხდეს ბაზრის ხარისხობრივი, ფინანსური და წარმოშობის დასადგენი მოთხოვნილებების აღსრულება რესურსების მდგრადობისადმი ზიანის მიყენების გარეშე.*	
10.1	**ბაზრის/ მყიდველების სპეციფიკაცია** მმართველობა უნდა გაეწიოს სავაჭრო რესურსების მდგრად შეგროვებასა და მათ დამუშავებას. გარდა ამისა, დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს იმ პროდუქტების შეგროვება, რომელთა გაყიდვაც ნაკლებად არის მოსალოდნელი.
10.2	**წარმოშობის დადგენა** სავაჭრო რესურსების შენახვისა და დამუშავების მენეჯმენტი ხელს უწყობს გაყიდვისათვის საჭირო წარმოშობის ადგილის დადგენას.
10.3	**რენტაბელურობა და ანგარიშვალდებული სავაჭრო ურთიერთობები** ხორციელდება მექანიზმების წახალისება, რათა მიღწეული იქნას ველური სავაჭრო რესურსების მდგრადი შეგროვების სისტემის რენტაბელურობა.

2.2 ბუნებაში შეგროვებული პროდუქტის მყიდველთათვის FairWild-ის პრინციპები და კრიტერიუმები

პრინციპი 11. მყიდველთა ვალდებულებების გაცნობა შეგროვებული ველური პროდუქტების მყიდველი (მაგალითად, იმპორტიორი) ესწრაფვის ველური პროდუქტის შემგროვებელთან ურთიერთსასარგებლო გრძელვადიანი სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას, პატივისცემის, გამჭვირვალობისა და მომწოდებლისათვის ხარისხთან მიმართებაში მხარის დაჭერის საფუძველზე.	
11.1	**ორმხრივი მომგებიანი სავაჭრო ურთიერთობები** ველური პროდუქციის მყიდველები ესწრაფვიან მომწოდებლებთან გრძელვადიანი სამართლიანი ურთიერთობის დამყარებას და თავის მხრივ ხელს უწყობენ მომწოდებლებს ინფორმაციის მიწოდებით, ტრენირებითა და მათთვის ხელსაყრელი სავაჭრო პირობების შექმნით.
11.2	**სამართლიანი ფასები და FairWild პრემიები** ველური პროდუქციის მყიდველები იხდიან სამართლიან ფასებსა და FareWild-ის პრემიას, რათა ხელი შეუწყოს შემგროვებელთა კომუნების განვითარებას.

ლიტერატურა

FWF. 2010a. FairWild-*ის სტანდარტი: ვერსია 2.0. FairWild-ის ფონდი, ვეინფელდენ, შვეიცარია.*

FWF. 2010b. FairWild –ის სტანდარტი: ვერსია 2.0. ინდიკატორები. FairWild-ის ფონდი, ვეინფელდენ, შვეიცარია.

ლამერტს ვან ბუერენ, ე.მ. და ე.ა.ბლომ. 1997. ტყის მდგრადი მართვის სტანდარტების ფორმულირების იერარქია. ტროპების ფონდი, ლეიდენ, ნიდერლანდები.

MPSG.2007. ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების მდგრადი შეგროვების ინტერნაციონალური სტანდარტები (ISSC.MAP). ვერსია 1.0 გერმანიის ბუნების დაცვის სააგენტო (BfN), MPSG/SSC/IUCN, WWF გერმანია, და TRAFFIC (BFN-სკრიპტები 195), ბონი, გლანდი, ფრანკფურტი და კემბრიჯი.

მეინსჰაუზენ ფ, ს.ვინკლერი, რ.ბეეხი, ფ.სტაუბლი, და კ. დიურბეკი. 2006. FairWild –ის სტანდარტები, ვერსია 1 (11/2006). FairWild-ის ფონდი, ვეინფელდენ, შვეიცარია.

დანართი 1: აკრონიმები და შემოკლებები

ABS	ბაზარზე შეღწევა და სარგებელის გადანაწილება
BfN	გერმანიის ბუნების დაცვის სააგენტო
BMZ	გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო
CBD	კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ
CITES	კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე
CSR	კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა
ECBP	ევროკავშირისა და ჩინეთის ბიომრავალფეროვნების პროექტი
FWF	FairWild-ის ფონდი
FRLHT	ადგილობრივი სამკურნალო ტრადიციების განახლების ფონდი
GACP	კარგი სასოფლო-სამეურნეო და შეგროვების პრაქტიკა
GMP	კარგი წარმოების პრაქტიკა
GSPC	მცენარეთა დაცვის გლობალური სტრატეგია
ICIMOD	მთიანი რეგიონების განვითარების ინტერნაციონალური ცენტრი
IMO	მარკეტოლოგიის ინსტიტუტი
INGOs	ინტერნაციონალური არასამთავრობო ორგანიზაციები
ISSC-MAP	ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების მდგრადი შეგროვების ინტერნაციონალური სტანდარტი
IUCN	ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი
MAP	სამკურნალო და არომატული მცენარეები
MPSG	IUCN/SSC-ს სამკურნალო მცენარეების სპეციალისტთა ჯგუფი
SIPPO	შვეიცარიის იმპორტის განვითარების პროგრამა
SSC	სახეობათა დაცვის კომისია
UN	გაერთიანებული ერები